



საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო
საჯარო სამართლის იურიდიული პირი
გარემოს ეროვნული სააგენტო

ქ.თბილისი, დავით აღმაშენებლის გამზ. №150 ტელ.: +995 32 243 95 03; ფაქსი: +995 32 243 95 02

ბ რ ძ ა ნ ე ბ ა

N 108/ს
25/05/2022

108-21-4-202205250921



ქ. ახალციხეში შპს „მესხეთავტოგზას“ ასფალტის წარმოების ექსპლუატაციის პირობების ცვლილებაზე სკრინინგის გადაწყვეტილების შესახებ

შპს „მესხეთავტოგზას“ მიერ, გზმ-ის ჩატარების საჭიროების დადგენის მიზნით, საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროში წარმოდგენილია ქ. ახალციხეში, აღმაშენებლის №1ა-ში ასფალტის წარმოების ექსპლუატაციის პირობების ცვლილების სკრინინგის განცხადება.

2009 წლის 27 მარტს, საქართველოს გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტროს მიერ შპს „მესხეთავტოგზას“ ასფალტის წარმოებაზე გაიცა №39 ეკოლოგიური ექსპერტიზის დასკვნა და გარემოზე ზემოქმედების ნებართვა (ბრძანება №ი-205). აღნიშნულის საფუძველზე, 2021 წლის 5 აპრილს საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს მიერ, „გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის“ 48-ე მუხლის მე-4 ნაწილის თანახმად, ზემოაღნიშნულ საქმიანობაზე გაიცა გარემოსდაცვითი გადაწყვეტილება (ბრძანება №2-397).

2021 წლის 30 ნოემბერს სსდ გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტის მიერ განხორციელდა შპს „მესხეთავტოგზას“ კუთვნილი ასფალტის საწარმოს ინსპექტირება, „საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის“ 79⁸ მუხლის შენიშვნის პირველი ნაწილით გათვალისწინებული ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ფაქტზე შედგა ადმინისტრაციული სამართალდარღვევის შესახებ №064741 ოქმი და მასალები განსახილველად გადაეგზავნა ახალციხის რაიონულ სასამართლოს. 2021 წლის 2 დეკემბრის №4/175-21 დადგენილების საფუძველზე, ახალციხის რაიონულმა სასამართლომ ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 79⁸ მუხლის შენიშვნის პირველი ნაწილით გათვალისწინებულ ქმედებაში კომპანია ცნო ადმინისტრაციულ სამართალდამრღვევად და სახდელის სახით შეუფარდა ჯარიმა 15 000 ლარის ოდენობით.

წარმოდგენილი დოკუმენტაციის თანახმად, შპს „მესხეთავტოგზას“ ასფალტის საწარმო მდებარეობს ქ. ახალციხეში, აღმაშენებლის ქ. №-1ა-ში, რკინიგზის საბარგო სადგურის საქმიანი ეზოს ტერიტორიაზე, კომპანიის საკუთრებაში არსებულ 2,4 ჰა ფართობის მქონე არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთზე (ს/კ: 62.09.53.377). ობიექტის განთავსების GPS კოორდინატებია: X - 334132.0, Y - 4612678.0. უახლოესი საცხოვრებელი

სახლი საწარმოს განთავსების ტერიტორიიდან დაშორებულია 200 მეტრით, ხოლო უახლოესი ზედაპირული წყლის ობიექტი - მდ. ფოცხვისწყალი მიედინება დაახლოებით 100 მეტრში.

სკრინინგის განცხადების მიხედვით, გარემოზე ზემოქმედების შეფასების ანგარიშისა და გაცემული გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების შესაბამისად, ობიექტის ტერიტორიაზე ასფალტის წარმოების მიზნით განთავსებულია მაზუთზე მომუშავე, 36 ტ/სთ წარმადობის (57 600 ტ/წელ) მქონე DC-117-2K ტიპის დანადგარი, 6 მ³/სთ წარმადობის ბეტონის კვანძი, 0,5 მ³/სთ წარმადობის ხის სახერხი უბანი და ავტოგასამართი სადგური.

წარმოდგენილი ინფორმაციის შესაბამისად, 2010 წლის შემდგომ ობიექტზე შეიცვალა ასფალტის წარმოების მიზნით განთავსებულ დანადგარში გამოყენებული საწვავის ტიპი, კერძოდ, მაზუთის საწვავი ჩანაცვლდა ბუნებრივი აირით. ამასთან, გაუქმდა საწარმოს ტერიტორიაზე განთავსებული 6 მ³/სთ წარმადობის ბეტონის კვანძი, 0,5 მ³/სთ წარმადობის ხის სახერხი უბანი და ავტოგასამართი სადგური. ასფალტის საწარმოს წარმადობა, საწარმოო ტექნოლოგია და გამოსაყენებელი ნედლეულის რაოდენობა დარჩა უცვლელი.

სკრინინგის განცხადების თანახმად, ობიექტი, ასფალტის წარმოებისათვის, იყენებს 26 928 ტონა ქვიშას, 26 784 ტონა ღორღს, 3 226 ტონა ბიტუმს და 662 ტონა მინერალურ ფხვნილს. საწარმოს ტექნოლოგიური პროცესის გათვალისწინებით, ობიექტზე ასფალტის წარმოებისათვის საჭირო ქვიშა-ხრემის შეტანა ხდება ავტოთვითმცლელების საშუალებით. საწარმოში შეტანილი ინერტული მასალა დროებით თავსდება ღია სასაწყობე მოედანზე და შემდგომ, მსხვილი ფრაქციის მისაღებად, მიეწოდება ყბებიან სამსხვრევს. დამსხვრეული ნედლეული, ლენტური ტრანსპორტიორის საშუალებით, გადადის ცხავში, სადაც ირეცხება და ხარისხდება. ის მასალა, რომელიც არ შეესაბამება საჭირო ფრაქციას, მიეწოდება კონუსურ სამსხვრევს, წვრილად დასამსხვრევად. მსხვრევა ხორციელდება სველი მეთოდით, რაც მნიშვნელოვნად ამცირებს არაორგანული მტვრის გამოყოფას. საბოლოო პროდუქცია დროებით თავსდება ღია სასაწყობე მოედანზე, საიდანაც, ლენტური ტრანსპორტიორის მეშვეობით, იყრება ასფალტის წარმოების დანადგარის ბუნკერში და შემდგომ გადადის საშრობ დოლში, რომელიც აღჭურვილია ციკლონებითა და მტვერდამჭერით. გახურებული და გამომშრალი ნედლეული მიეწოდება დამხარისხებელ დანადგარს, სადაც ხდება მისი ფრაქციებად დაყოფა. აღნიშნულის შემდგომ, მასალა იწონება სპეციალურ სასწორებზე და იყრება შემრევ მოწყობილობაში, სადაც ემატება წინასწარ გაუწყლოებული და მუშა ტემპერატურამდე გაცხელებული ბიტუმი და ასევე მინერალური ფხვნილი. საწარმოში შეტანილი ბიტუმი თავსდება დახურული ტიპის 600 ტ ტევადობის ბიტუმსაცავში, საიდანაც გადაინაცვლებს ბიტუმსახარშ რეზერვუარებში (4x20) და შემდგომ მიეწოდება ასფალტის წარმოების დანადგარის ბიტუმსაცავ რეზერვუარებს. ბიტუმის თხევადი მდგომარეობის უზრუნველყოფა და მუშა ტემპერატურის შენარჩუნება ხორციელდება ელექტროტენების გამოყენებით. საწარმოს სამუშაო გრაფიკი შეადგენს წელიწადში 200 დღეს, დღე-ღამეში 8 საათს და დასაქმებულია 20 ადამიანი.

წარმოდგენილი დოკუმენტაციის მიხედვით, ობიექტზე წყლის გამოყენება ხდება სასმელ-სამეურნეო და ტექნიკური მიზნით. სასმელ-სამეურნეო დანიშნულებით წყალაღება ხორციელდება ადგილობრივი წყალმომარაგების ქსელიდან, შესაბამისი ხელშეკრულების საფუძველზე, ხოლო ტექნიკური წყლის აღება (180 მ³/წელ) ხდება საწარმოს ტერიტორიაზე არსებული ტბორიდან. ობიექტზე ფუნქციონირებს ბრუნვითი წყალმომარაგების სისტემა, შესაბამისად, საწარმოო ჩამდინარე წყლები არ წარმოიქმნება. ობიექტზე წარმოქმნილი სამეურნეო-ფეკალური ჩამდინარე წყლები გროვდება ამოსაწმენდ ორმოში.

სკრინინგის განცხადების შესაბამისად, ასფალტის საწარმოში განხორციელებული ექსპლუატაციის პირობების ცვლილების შემდგომ, შემცირდა ატმოსფერულ ჰაერში გაფრქვეული მავნე ნივთიერებების სახეობები და რაოდენობა. კერძოდ, ასფალტის წარმოების დანადგარში გამოყენებული მაზუთის საწვავის ბუნებრივი აირით ჩანაცვლებისა და საწარმოს ტერიტორიაზე განთავსებული ბეტონის კვანძისა და ავტოგასამართი სადგურის გაუქმების შემდეგ, ატმოსფერულ ჰაერში აღარ გაიფრქვევა ისეთი მავნე ნივთიერებები, როგორცაა: ჭვარტლი, ვანადიუმის (V) ოქსიდი და გოგირდის დიოქსიდი. ობიექტის ფუნქციონირების შედეგად ადგილი აქვს მხოლოდ მტვრის, ნახშირწყალბადების, აზოტის დიოქსიდის და ნახშირბადის ოქსიდის ატმოსფერულ ჰაერში გაფრქვევას, შემცირებული რაოდენობით. ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ექსპლუატაციის პირობების ცვლილების შემდგომ ატმოსფერული ჰაერის ხარისხზე ზემოქმედება შემცირდა.

წარმოდგენილი ინფორმაციის თანახმად, საწარმოს ექსპლუატაციის პირობების ცვლილების ფარგლებში განხორციელებული ღონისძიებები დაკავშირებული არ ყოფილა ნიადაგზე, გრუნტის ხარისხზე და ბიომრავალფეროვნებაზე ზემოქმედებასთან.

სკრინინგის განცხადების მიხედვით, საწარმო არ მდებარეობს ჭარბტენიანი, ტყით მჭიდროდ დაფარული და დაცული ტერიტორიების სიახლოვეს. საპროექტო ტერიტორიის მიმდებარედ არ ფიქსირდება არქეოლოგიური და კულტურული მემკვიდრეობის ძეგლები.

„გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის“ მე-7 მუხლის მე-5 ნაწილის შესაბამისად, სკრინინგის განცხადება გამოქვეყნდა სამინისტროს ოფიციალურ ვებგვერდზე და ახალციხის მუნიციპალიტეტის მერიის საინფორმაციო დაფაზე. ადმინისტრაციული წარმოების პროცესში საზოგადოების მხრიდან აღნიშნულ საქმიანობასთან დაკავშირებით წერილობითი შენიშვნები და მოსაზრებები არ ყოფილა წარმოდგენილი.

სკრინინგის განცხადების შესწავლით დგინდება, რომ ასფალტის საწარმოში განხორციელებული ექსპლუატაციის პირობების ცვლილებით - ასფალტის წარმოების დანადგარში მაზუთის საწვავის ბუნებრივი აირით ჩანაცვლებისა და საწარმოს ტერიტორიაზე განთავსებული ბეტონის კვანძისა და ავტოგასამართი სადგურის გაუქმების შემდგომ, შემცირდა ატმოსფერული ჰაერის ხარისხზე ზემოქმედება.


ზემოაღნიშნული კრიტერიუმების გათვალისწინებით, „გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის“ მე-5 მუხლის მე-12 ნაწილისა და ამავე კოდექსის მე-7 მუხლის მე-6 ნაწილის საფუძველზე,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. მიღებულ იქნეს სკრინინგის გადაწყვეტილება, რომ ქ. ახალციხეში შპს „მესხეთავტოგზას“ ასფალტის წარმოების ექსპლუატაციის პირობების ცვლილება არ დაექვემდებაროს გარემოზე ზემოქმედების შეფასებას;
2. ძალადაკარგულად გამოცხადდეს ქ. ახალციხეში შპს „მესხეთავტოგზას“ ასფალტის წარმოების ექსპლუატაციის პირობების ცვლილებაზე სკრინინგის გადაწყვეტილების შესახებ 2022 წლის 23 მაისის №105/ს ბრძანება;

3. შპს „მესხეთავტოგზა“ ვალდებულია, საქმიანობა განახორციელოს 2021 წლის 5 აპრილს გაცემული გარემოსდაცვითი გადაწყვეტილებით განსაზღვრული პირობების შესაბამისად, წარმოდგენილი ცვლილებების გათვალისწინებით;
4. შპს „მესხეთავტოგზასთვის“ ზემოაღნიშნული პირობები წარმოადგენს 2021 წლის 5 აპრილს გაცემული გარემოსდაცვითი გადაწყვეტილებით განსაზღვრული პირობების განუყოფელ ნაწილს და მათი შესრულება სავალდებულოა;
5. შპს „მესხეთავტოგზა“ ვალდებულია სკრინინგის გადაწყვეტილების გაცემიდან 1 თვის ვადაში, ექსპლუატაციის პირობების ცვლილების გათვალისწინებით, უზრუნველყოს განახლებული „ატმოსფერულ ჰაერში მავნე ნივთიერებათა ზღვრულად დასაშვები გაფრქვევის ნორმების პროექტის“ სააგენტოსთან შეთანხმება;
6. ბრძანება დაუყოვნებლივ გაეგზავნოს შპს „მესხეთავტოგზას“;
7. ბრძანება ძალაში შევიდეს შპს „მესხეთავტოგზას“ მიერ ამ ბრძანების გაცნობისთანავე;
8. სკრინინგის გადაწყვეტილების გაცემიდან 5 დღის ვადაში გადაწყვეტილება განთავსდეს სააგენტოს ოფიციალურ ვებგვერდზე და ახალციხის მუნიციპალიტეტის მერიის საინფორმაციო დაფაზე;
9. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (თბილისი, დ. აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კმ. №6) მხარის მიერ მისი ოფიციალური წესით გაცნობის დღიდან ერთი თვის ვადაში.

თეიმურაზ მთივლიშვილი



სააგენტოს უფროსის დროებით ფუნქციების შემსრულებელი
სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტო